

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-  
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

ARCHEION

VIII

თბილისი 2014 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცკილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა (ბლაგოვეგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)

### Editorial Board

**Maia Ivanishvili**– chairman of editorial board

**Tamaz Putkaradze** - editor,

Teona Iashvili (Tbilisi), Tengiz Tsintskiladze, Tengiz Salukvadze, Jaba Beridze, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi), Mariana Piskova, Nurie Muratova (Blagoevgrad, Bulgaria), Maka Albagachieva (Saint-Petersburg, Russia).

სარედაქციო საბჭო შესაძლოა ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო. ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი - <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**დოკუმენტების რესტავრაციის თანამედროვე მეთოდების  
დანერგვის აუცილებლობა აჭარის საარქივო სამმართველოში**

*(სოფიის სახელმწიფო არქივის მაგალითზე)*

საარქივო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა დაზიანებული დოკუმენტების აღდგენა-რესტავრაცია. ყველა საარქივო დაწესებულებაში ეს მიმართულება ცალკე სტრუქტურული ერთეულის სახითაა წარმოდგენილი. ასეა ჩვენთანაც, აჭარის საარქივო სამმართველოში, თუმცა დოკუმენტების აღდგენა-რესტავრაცია წარმოებს მოძველებული, პრიმიტიული მეთოდებით. თანამედროვე მეთოდები გულისხმობს ლაბორატორიის აღჭურვას უახლესი ტექნოლოგიებით, რომლის გარეშე შეუძლებელია დაზიანებული დოკუმენტების სრულფასოვანი რესტავრაცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის უფრო სრულყოფილი წარმოდგენა. საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო არქივის ლაბორატორიის საქმიანობას.

სოფიის სახელმწიფო არქივი ერთ-ერთი უმსხვილესი დოკუმენტსაცავია ბულგარეთში. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ბულგარეთში საარქივო დაწესებულებები ექვემდებარება ქვეყნის მინისტრთა კაბინეტს. ამდენად, არქივების სახელმწიფო სააგენტო სახელმწიფო ადმინისტრაციის ნაწილია. შესაბამისად, სააგენტოს ადმინისტრაცია შედგება სპეციალიზებული და საერთო ადმინისტრაციისაგან. სპეციალიზებული ადმინისტრაცია შედგება რამდენიმე დირექციისაგან. მათგან, ერთ-ერთი მთავარი დირექცია საარქივო პოლიტიკას განაგებს და შედგება საარქივო სამმართველოსა და ექვსი რეგიონალური დირექციისაგან. რეგიონალური დირექციები აერთიანებს ქვეყნის მთელ საარქივო სისტემას.

ბულგარეთში სულ არის 27 ტერიტორიული არქივი, რომლებიც ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების ცენტრებში არის განთავსებული. მათ ხელმძღვანელობას უწევს ექვსი რეგიონალური დირექცია (ერთი რეგიონალური დირექციის დაქვემდებარებაში შედის 4-5-6 ტერიტორიული არქივი).

არქივების სპეციალიზებული დირექცია უზრუნველყოფს საარქივო საქმიანობის საჯაროობას. სპეციალიზებული დირექციის დაქვემდებარებაში არის: დიგიტალიზაციის, რესტავრაციის, მიკროფილმირების, კონსერვაციის დირექციები. ცალკე ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექცია, ცენტრალური სამხედრო ისტორიული არქივის დირექცია (მდებარეობს ველიკოტირნოვოში) და ა. შ. სოფიის ცენტრში მდებარე შენობაში განთავსებულია ცენტრალური ადმინისტრაცია თავისი დირექციებით, ცენ-



ტრალური სახელმწიფო არქივი და სოფიის სახელმწიფო არქივი.

ღირექცია, რომელიც უზრუნველყოფს საარქივო საქმიანობის საჯაროობას, ორი განყოფილებით არის წარმოდგენილი: **საგამომცემლო-საინფორმაციო განყოფილება და საარქივო საქმიანობის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებები**. არქივების სააგენტო გამოსცემს პერიოდულ ჟურნალებს, საარქივო დოკუმენტებს. სახელდობრ: „Архивный обзор“, „Вести Болгарских гос. архивов“, „ Архиви говорят“, „Архивные справочники“ და ა. შ. გარდა ამისა, გამოდის საიუბილეო კრებულები, კატალოგები, გაზეთები, საგამოფენო მასალები. საგამომცემლო-საინფორმაციო განყოფილება, რომელსაც აქვს თავისი თემატური საიტი, ორგანიზებას უკეთებს სემინარებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს, პრესკონფერენციებს და ა. შ. მათ ექვემდებარება აგრეთვე სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა.



ჩვენი ყურადღება მიიქცია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა მრავალსართულიანმა ფონდსაცავმა, რომელიც მდებარეობს ცენტრალური ადმინისტრაციული შენობიდან 3-4 კმ-ის მანძილზე. იგი ადრე ერთ-ერთი ქარხნის ადმინისტრაციულ შენობას წარმოადგენდა. მას შეუნარჩუნეს ფასადი, სხვა მხრივ კი შენობა გადაკეთდა ფონდსაცავების მოთხოვნების შესაბამისად.



შენობას ემსახურება მხოლოდ დაცვის სამსახური და დამლაგებელი. აქ სრულადაა დაცული ტემპერატურული რეჟიმი. დოკუმენტების დაცვა-შენახვისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი.




ფონდსაცავები აღჭურვილია თანამედროვე სტელაჟებით, , ე. წ. „ტელეშეკებით“.



თითოეულ სართულზე განთავსებულია საარქივო ფონდების 2500 კმ (იზომება მუყაოს ყუთების სიგრძის შესაბამისად. ერთი ყუთის საშუალო სიგრძე 18 სმ-ია).



სოფიის არქივში დაცული დოკუმენტები 6000-ზე მეტ ფონდშია წარმოდგენილი. თითოეული სტალაჟის დასაწყისში განთავსებულია ინფორმაცია იქ დაცული ფონდების მოკლე აღწერილობით:



თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი სოფიის ცენტრალური არქივის ლაბორატორია უდაოდ იქცევა არქივისტთა ყურადღებას.



*სოფიის არქივის ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად*

დოკუმენტების რესტავრაციისათვის იყენებენ სამივე მეთოდს: ხელით მუშაობის მეთოდი, ფურცლების გარეცხვის და ლამინირების მეთოდები. ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით. დაზიანებული ქაღალდების აღდგენა ხერხდება სარესტავრაციო დანადგარის „ლისტოუგლებნა“-ს საშუალებით.




*სარესტავრაციო დანადგარი („ლისტოუგლებნა“)*

ამ მეთოდს ფართო გამოყენება აქვს დოკუმენტების აღდგენა-რესტავრაციის თანამედროვე პრაქტიკაში. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს დოკუმენტის დაზიანებული, განადგურებული ნაწილის ქაღალდის მასით ამოვსებაში. დაზიანებული დოკუმენტი დაიდება მის ზედაპირზე.



*დაზიანებული დოკუმენტი*



*დაზიანებული დოკუმენტის მომზადება აღსადგენად*

ზედაპირი ავტომატურად შეივსება წყლით (წყლის ცირკულაცია) და დოკუმენტი სველდება.




*წყლის ცირკულაცია*

აღსადგენ დოკუმენტს ოთხივე მხრივ, კიდეებზე დაადებენ ე. წ. „ოგრანიჩიტელს“, ვიწრო ზოლის ცელოფანისმაგვარ ქსოვილს.



**„ოგრანიჩიტელი“**

შემდეგ აიღებენ მშრალ ცელულოზას, ევკალიპტსა და ბორს და ათავსებენ მიქსერში, სადაც ისინი აითქვიფება ერთმანეთში და ჩაისხმება სარესტავრაციო დანადგარში.




**ცელულოზა, ევკალიპტი და ბორი**



**მიქსერი**

წყლის ცირკულაციის შემდეგ წყალი უკან გადაიქაჩება, ხოლო დაზიანებული ნაწილი ამოივსება ქაღალდად ქცეული მასით. ეს დოკუმენტი შემდეგ თავსდება სპეციალურ დანადგარში, სადაც იქმნება ვაკუუმი. ქაღალდს ზემოდან დაედება ფიცარი, წაესმება წებო. შემდეგ წებოს მოაშორებენ, მოაქცევენ პრესში და დოკუმენტიც მზადაა.



### დოკუმენტი აღდგენამდე და აღდგენის შემდეგ

დაპრესვის მეთოდსა და საშუალებაზე ბევრადაა დამოკიდებული აღდგენილი დოკუმენტის შემდგომი შენახვის ხარისხი. საჭიროა წინასწარ იქნას გათვალისწინებული ყველა მომენტი, რათა გამოირიცხოს დოკუმენტის შემდგომი დეფორმაცია.



### პრესი

აჭარის საარქივო სამმართველო ერთ-ერთი მსხვილი დოკუმენტსაცავია რეგიონში. აქ დაცულია უამრავი დოკუმენტი, რომელთა ნაწილი საჭიროებს რესტავრაციას. ეს კი ჩვენთან ხორციელდება კუსტარული მეთოდებით. დოკუმენტების რესტავრაციის ეს მეთოდები წინააღმდეგობაშია თანამედროვეობის მოთხოვნებთან. საჭიროა გამოინახოს სახსრები, რათა ჩვენი ლაბორატორია აღიჭურვოს თანამედროვე დანადგარებით.

*Tamaz Putkaradze*

*The necessity of introducing modern methods of documents restoration in Ajara  
Archives Administration  
(On Sofia State Archive example)*

*Summary*

For documents restoration is used as work by hand, also washing sheets and lamination methods. Laboratory should be equipped with the latest technology, but Ajara Archives Administration work with old, makeshift methods. These methods of restoration contradict with modern requirements. It's necessary to find the funds to equip our laboratory with modern facilities.